ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2213024

ნომერი: AR1341951

თარიღი : 15.09.2015

გაცემის თარიღი : 06.10.2015

გაცნობის თარიღი : 06.10.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N43 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ აბზიანიძე პ/ნ 01024001371
- თბილისი მარშალ გელოვანის გამზ.13. N72

ორგანიზაცია:

- არკო კოდი: 405038739

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 14/05/2015 წლის #1896596 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ზურაბ აბზიანიძის, ნინო გველესიანისა და დავით ბასიაშვილის 15/09/2015 წლის AR1341951 განცხადება, რომლითაც მოითხოვეს ამავე სამსახურის 14/05/2015 წლის #1896596 ბრძანებაში ცვლილების შეტანა დამკვეთთან დაკავშირებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 14/05/2015 წლის #1896596 ბრძანებით, ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N43-ში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი № 01.13.03.010.021) შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 15.05.2015 წ-დან 15.05.2017 წ-ის ჩათვლით.

დღეისათვის განმცხადებლები 15/09/2015 წლის AR1341951 განცხადებით ითხოვენ სამსახურის 14/05/2015 წლის #1896596 ბრძანებაში, დამკვეთთან დაკავშირებით ცვლილებას და შპს MDM Group-თან ერთად, აღნაგობის უფლების მქონე პირის, შპს ,,მეგა პლაზა"–ს (ს/კ #402006609) დაფიქსირებას.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მე–20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საჯარო რეესტრის მონაცემების (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან – განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: 882015236912; 04/05/2015 17:21:08) გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ #01.13.03.010.021 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს წარმოადგენენ შპს MDM Group და შესაბამისად, მას აქვს მისი სამშენებლოდ განვითარების ინტერესი. ასევე, დგინდება, რომ შპს ,,მეგა პლაზა" (ს/კ #402006609) არის აღნაგობის უფლების მქონე პირი.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B14055467, 27/05/2014 13:42:51) დგინდება, რომ შპს MDM Group–ის დირექტორი არის თანაგანმცხადებელი, დავით ბასიაშვილი, ხოლო შპს ,,მეგა პლაზა"–ს (ს/კ #402006609) დირექტორი– ნინო გველესიანი (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B14119606, 27/11/2014 11:06:09). ამდენად, მეწარმეთა შესახებ კანონის მე–9 მუხლის თანახმად, დავით ბასიაშვილსა და ნინო გველესიანს აქვთ აღნიშნული იურიდიული პირის ინტერესების სასარგებლოდ მოქმედების უფლებამოსილება.

თანაგანმცხადებლად დაფიქსირებით, კი ისინი გამოხატავენ სურვილს, შპს MDM Group–თან ერთად, 14/05/2015 წლის #1896596 ბრძანებაში, დამკვეთად დაფიქსირდეს შპს ,,მეგა პლაზა" (ს/კ #402006609).

საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. მოცემულ შემთხვევაში გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე და 63–ე მუხლებისა და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57 დადგენილების თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს ზურაბ აბზიანიძის, ნინო გველესიანისა და დავით ბასიაშვილის 15/09/2015 წლის AR1341951 განცხადება;
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 14/05/2015 წლის #1896596 ბრძანებაში და დამკვეთად შპს MDM Group–თან ერთად, დაფიქსირდეს შპს ,,მეგა პლაზა" (ს/კ #402006609);
3. წინამდენარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 14/05/2015 წლის #1896596 ბრძანებასთან ერთად;
4. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, #6), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge